# ხელშეკრულება № 97
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

CPV: 50311000 - საოფისე სააღრიცხვო მანქანების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება

**თბილისი** **17 მაისი, 2023 წელი**

ერთის მხრივ - შპს **„ჯორჯიან სერვის ნეთვორკი"** (შემდგომში - მიმწოდებელი"), წარმოდგენილი იურისტის **გიორგი წაქაძის** სახით და მეორეს მხრივ - **სსიპ - მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი** (ს/კ 202270452) დირექტორის **ლევან მჭედელაძის** სახით, (შემდგომში - შემსყიდველი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და „სახელმწიფო შაყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. მიმწოდებელი შემსყიდველს უწევს მომსახურებას. კერძოდ - შემსყიდველის საკონტროლო სალარო აპარატს daizy e.Expert, DY00016461 (ლუქის №537226) უცვლის 1 (ერთი) ცალ ლითიუმის ელემენტი 3V (შიდა კვებისათვის) (შემდგომში - „შესყიდვის ობიექტი") წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.2. ობიექტის CPV-კოდი: 50311000 (საოფისე სააღრიცხვო მანქანების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება).

**2. სახელშეკრულებო ღირებულება და ანგარიშსწორება**

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **24** (ოცდაოთხი) **ლარს**.

2.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქონლის (მომსახურების) მიწოდებიდან 03 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

**3. საქონლის ხარისხი**

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონელი იქნება თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში.

**4. საქონლის მიღება - ჩაბარების წესი**

4.1თუ შესყიდვის ობიექტი აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს, მაშინ მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია მაია ოდიშარია).

4.2 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

**5. საქონლის მიწოდების ადგილი**

5.1. საქონლის (მომსახურების) მიწოდება ხორციელდება მიმწოდებლის სერვის ცენტრში - ქალაქი თბილისი, წერეთლის გამზ. №12. ფილიალების ჩამონათვალი იხ. https://www.gsn.ge/pages/offices

**6. შემსყიდველის ძირითადი უფლება-მოვალეობანი**

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

6.1.2. შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

6.1.3. მოსთხოვოს მიმწოდებელს ინფორმაცია საქონლის შესახებ.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

**7. მიმწოდებლის ძირითადი უფლება-მოვალეობანი**

7.1. მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.1.1. მოითხოვოს შემსყიდველისაგან საქონლის ღირებულების დროული გადახდა და ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება.

7.2. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.2.1. მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი წინამდებარე ხელშეკრულებითგათვალისწინებული პირობების დაცვით;

7.2.2. ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

**8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

8.1 შემსყიდველი ვალდებულია სრულად ან დროულად აუნაზღაუროს მიმწოდებელს, მიწოდებული საქონლის ღირებულება (ხელშეკრულების პირობების შესაბამისად).

8.2 ფორს-მაჟორულ გარემოებად არ ჩაითვლება ისეთი მოვლენები, რომელთა მოსალოდნელი დადგომის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისი მხარისთვის, წინასწარ ცნობილი იყო და/ან წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო.

**მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ელექტრონულად ხელმოწერისთანავე და **მოქმედებს 2023 წლის 30 ივნისამდე**.

**10. დავების გადაწყვეტის წესი**

10.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

10.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

**მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები და ხელმოწერები**

| **მიმწოდებელი** | **შემსყიდველი** |
|---|---|
| **შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკი“**<br>ს/ნ 406049823<br>საიტი: gsn.ge<br>ელ.ფოსტა: info@gsn.ge<br>ტელ: 032 2 500-111<br><br>ს/ს „თიბისი ბანკი“<br>ბანკის კოდი - TBCBGE22<br>ანგ.N GE70TB7114436080100001<br><br>წარ Giorgi Tsakadze Digitally signed by Giorgi Tsakadze Date: 2023.05.17 13:06:50 | **სსიპ - მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი**<br><br>ს/ნ 202270452<br>თბილისი, აღმაშენებლის გამზირი N164<br>ტელ.: 032 2 35-01-94<br>სახელმწიფო ხაზინა<br>სახაზინო კოდი - TRESGE22<br><br>დირექტორი - **ლევან მჭედელაძე** LEPL MICHAEL TUMANISHVILI STATE PROFESSIONAL FILM ACTORS THEATRE Digitally signed by LEPL MICHAEL TUMANISHVILI STATE PROFESSIONAL FILM ACTORS THEATRE Date: 2023.05.17 14:48:24 +04'00' |